

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №16

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

24. 08.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, კობა ძაგნიძე. (დანართი №1).

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 24 აგვისტოს ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -კონსერვატორები"-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაძე

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -ვანის განვითარებისათვის"-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -მრეწველები"-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 24 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე ფრაქცია შემადგენლობა დატოვა ყველა წევრმა და შესაბამისად ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს ფრაქციის გაუქმების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე ფრაქცია შემადგენლობა დატოვა ყველა წევრმა და შესაბამისად ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს ფრაქციის გაუქმების შესახებ.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც პირადი განცხადების საფუძველზე ფრაქცია შემადგენლობა დატოვა ყველა წევრმა და შესაბამისად ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია „ქართული ოცნება - მრეწველების“-ს ფრაქციის გაუქმების შესახებ.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე